№ 273 დეკემბერი 22, კვირა · 1891 · დეკემბერი 22, კვირა № 273


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 · სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი · 1877—1891



კვირას, 22 დეკემბერს

ტფილისის კლუბის დარბაზში დანიშნულია ,,წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების'' სასარგებლოდ

## კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ფლაშა-ვანდერიკი, მ. ილიაშენკო და მ. ძნელაძისა და ბ-ნნი: ბუში, კნინა, ოპოჩინინი, პახომოვი და აბაშიძე

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

**კონცერტის შემდეგ ცეკვა**

ბილეთები ისყიდება კლუბის შვეიცართან.



## „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ"

**подписка на 1892 годъ.**

Газета ,, Тифлисскій Листокъ,, будетъ выходить по прежнему ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ.

Малый форматъ газеты лишалъ редакцію возможности не только періодически знакомить своихъ читателей съ выдающимися событіями русской и иностранной жизни, но она не могла даже помѣщать ежедневно весь матеріалъ, относящійся къ мѣстному отдѣлу.

Съ цѣлью дать больше матеріала для чтенія, газета съ начала декабря мѣсяца будетъ печататься на бумагѣ средняго листа, въ пять колоннъ.

Съ увеличеніемъ формата ,,Тифлисскій Листокъ'' ежедневно будетъ имѣть всѣ отдѣлы ежедневныхъ газетъ.

Редакція по прежнему направитъ всѣ усилія къ развитію отдѣла о мѣстныхъ злобахъ дня и о выдающихся событіяхъ общественной жизни Кавказа.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

| Съ доставкою въ Тифлисѣ: | | Съ пересылкой для иногороднихъ: | |
| --- | --- | --- | --- |
| На годъ | 5 р. | На годъ | 6 р. |
| „ полгода | 3 „ | „ полгода | 3 „ 50 к. |
| „ 3 мѣсяца | 1 „ 75 к. | „ 3 мѣсяца | 2 „ |

Объявленія принимаются для Россіи и заграничныя исключительно въ центральной конторѣ объявленій быв. Метцль, въ Москвѣ.

Редакція и контора помѣщаются: въ Тифлисѣ, на Головинскомъ проспектѣ, въ домѣ Ротинова.

Редакторъ-издатель **Х. Г. Хачатуровъ.**



## Открыта подписка на 1892 годъ

НА ГАЗЕТУ

## „КАСПІЙ".

Въ 1892 году „Каспій" будетъ выходить въ Баку ежедневно, кромѣ дней послѣпраздничныхъ, по прежней программѣ газеты литературной, общественной и политической.

Кромѣ обычныхъ газетныхъ отдѣловъ, „Каспій" имѣетъ еще спеціальный „Нефтяной отдѣлъ".

*Подписная цѣна:*

| СЪ ДОСТАВКОЙ. | | | СЪ ПЕРЕСЫЛКОЙ: | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| На годъ | 7 руб. | — коп. | На годъ | 8 руб. | 50 коп. |
| „ полгода | 4 „ | — „ | „ полгода | 5 „ | — „ |
| „ 3 мѣсяца | 2 „ | — „ | „ 3 мѣсяца | 5 „ | — „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ | — „ | „ 1 мѣсяцъ | 1 „ | 50 „ |

**За границу:**

На годъ . . . . 13 руб.
„ 1/2 года . . . . 7 „

Допускается разсрочка платежа подписныхъ денегъ, на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится не менѣе 3 р. городскими и 4 р. 50 к. иногородными подписчиками; затѣмъ 15 февраля—2 р. и 15 марта—2 р.

Подписка принимается: въ Баку—въ конторѣ газеты, Армянская улица, домъ Красильникова; въ Тифлисѣ—въ „Центральной книжной торговлѣ" и въ книжномъ магазинѣ Хиддекеля; въ Кутаисѣ—при книжномъ магазинѣ братьевъ Чиладзе, противъ собора, на Тифлисской ул., собственный домъ; въ Батумѣ—при книжно-газетномъ агентствѣ М. Николадзе; въ Елизаветполѣ—у Г. А. Альтгаузена, при его торговлѣ аптекарскими товарами. Иногородные адресуютъ свои требованія: Въ Баку, въ редакцію газеты „Каспій".

Лица, подписавшіяся (безъ разсрочки) на годовое изданіе „Каспія" 1892 г. въ настоящее время, будутъ безплатно получать газету въ текущемъ году, со дня подписки. (3—1)


მმართველობის ნებადართვით, ოცდა ცხრას ამა დეკემბრისას, კვირა დღეს, შესდგება განსაკუთრებითი კრება თავად-აზნაურობისა ტფილისის მაზრისა, ამოსარჩევლად კანდიდატებისა ტფილისის მაზრის კეთილშობილთ წინამძღომლის თანამდებობაზედ.—

აღმასრულებელი თანამდებობისა ტფილისის მაზრის კეთილშობილთ წინამძღოლისა აუწყებს ამაზედ თავად-აზნაურობას ტფილისის მაზრისას, რომელთაც აქვსთ უფლება კენჭით ამორჩევაში და უმორჩილესად სთხოვს მათ, წარმოადგინონ საბუთნი, ვიდრე დაიწყება კენჭით ამორჩევა, ტფილისის აზნაურობის დეპუტატთ კრების კანცელარიაში.

კრება თავად-აზნაურობისა შესდგება ტფილისის თავად-აზნაურობის სათავად-მამულო ბანკის სადგურის დარბაზში ოცდა ცხრა დეკემბერს, კვირა დღეს, ცხრა საათზედ, დილით.

---

ტფილისი, 21 დეკემბერი

ამ უკანასკნელ ხანებში ამბავი მოვიდა, რომ უმაღლესს მთავრობას საზრუნველად გახდომია ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა რუსეთის თავად-აზნაურობისა და ამისათვის კამისიაც დაუნიშნავს, რომ გამოიძიოს მიზეზი ამ უილაჯო ყოფა-მდგომარეობისა და წამალი რამ დასდოს.

ცნობილია, რომ ყველაზე უმძიმესი სატკივარი ამ ყოფა-მდგომარეობისა ის არის, რომ მამულები ხელთ არა ჰრჩება თავად-აზნაურობას და ამის გამო მიწად-მფლობელობა, რომლითაც ასე ძლიერი იყო ეს წოდება, ირღვევა და ხელიდამ ეცლება. სახელმწიფო სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკი, რომელიც იმ საძირკველზეა ამოყვანილი რომ თავად-აზნაურობას შეურჩინოს მამულები და გაჭირებულთ რაც შეიძლება იეფი კრედიტი მიაშველოს, ისე ვერ გამოიყენეს თავად-აზნაურთ, როგორც მოლოდინი ჰქონდა მთავრობასა. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია აღვნიშნოთ მარტო ის ამბავი, რომ ხსენებულ ბანკისაგან გამოცხადებულია დღეს ათას ხუთას მამულზე მეტი გასასყიდად, რადგანაც ნასესხების მოსამორებლად შესახვედრი ფული მსესხებელთ არ ძეუტანიათ. აშკარაა, რომ სახელმწიფო ბანკის იეფი კრედიტიც თავად-აზნაურობამ ვერ გამოიყენა და მაინც თავისი საქმე იქამდე მიიყვანა, რომ იძულებული გახადა ბანკი მამულები დაუყიდოს, ესე იგი, ძერჩენის მაგიერად, ჩამორთმევა მოახდინოს.

ამ სახით ეს დიდი მადლიანი სახსარიც ვერ გამოადგა თავად-აზნაურობას და საკვირველი არ არის, რომ ამის მნახველს მთავრობას თავად-აზნაურთა ყოფა-მდგომარეობა ხელახლად საზრუნველად გაუხდა. რა თქმა უნდა, მთავრობას, გულითა და სულით მოწადინებულს, რომ ამ უმაღლეს წოდებას ხელი როგორმე გაუმართოს და ცხოვრებაში ფეხი მოამაგრებინოს, ბევრი რამ შეუძლიან, მაგრამ ყველაფერი-კი არა. საქმე ის არის; რომ უმთავრესი მიზეზი თავად-აზნაურთა დაქვეითებისა თვით თავად-აზნაურნი არიან და სატკივარს თუ აქავ არ დაედო თავისი წამალი, ძნელია სხვიდამ რაიმე ეშველოს.

ვერავინ ვერ შესცვლის იმ ბუნების კანონისამებრ გადაუვალს ეკონომიურს კანონს, რომ ყოველი ქონება—ფულია, ვეჯია, თუ მამული—უქმის კაცის ხელში არა დგება და ყოველთვის იქით იწევს, საცა მხნე და მარჯვე მუშა-ხელია. ეს ბუნებური თვისებაა ყოველ ეკონომიურ ნივთიერებისა. ამას წინ ვერავინ ვერ დაუდგება, ვერავინ ვერ აელობება. შესაძლოა ცოტა ხნობით დააყოვნონ, შეაფერხონ და სამუდამოდ-კი რომ ფეხი მოსჭრან ამ ბუნებურს მიზიდულობას ყოველ ეკონომიურ საგნისას ეს შეუძლებელია.

ვიმეორებთ, ამ კანონის ძალით, უქმს ხელს ქონება გაურბის და მიდის იქ, საცა კაცი მომქმედია და მუშა. ერთის სიტყვით, სარჩო-საბადებელი ბინას ვერ მოიკიდებს ცუდა კაცის ხელში და იქა გროვდება, საცა გამრჯელობაა, მხნეობა და სიმარჯვე. ამ სიმდიდრის გასვლა - გამოსვლაში აუცილებელია, რომ ერთი მხარე უქმი არ იყოს და მეორე გამრჯელი.

ამ სახით თუ თავად-აზნაურობას ხელიდამ ეცლება ადგილ-მამული, აქ სხვა მიზეზი არა არის რა გარდა იმისა, რომ ეს წოდება უქმია, არა-გამრჯელი და მაშასადამე სატკივარი შიგ გულში აქვს და წამლობაც იქ უნდა. თუ თავად-აზნაურობამ ამ სატკივრისაგან თავი არ მოირჩინა, თუ რაც ხელთა აქვს ჯერ კიდევ, იქიდამ არ ისწავლა რაც შეიძლება ბევრს გამორჩეს, თუ გამონარჩენს არ გაუფთხილდა და ეკონომიურად არ მოექცა, მის მიწად-მფლობელობას ვერაფერი ვერ დაიხსნის: მიწა დღეს იქნება თუ ხვალ იმასთან მივა, იმას ჩაუვარდება ხელში, ვინც შემძლებელი იქნება მიწა მეტის მხნეობით, ცოდნით, სიმარჯვით და გამრჯელობით მოიხმაროს.

არ ვიცით ამ სატკივარს რით ეშველება გარედამ, თუ თვითონ თავად-აზნაურობა არ გასძრავს ხელსა და თუ თვითონ თავის გულის ძალ-მომრეობით არ მოირჩენს თავს და არ გამოკეთდება. რა თქმა უნდა, მთავრობასაც აქ ზოგიერთი რამ შეუძლიან, მაგალითებრ, შეუძლიან მისცეს სახსარი შეიძინონ სწავლა და ცოდნა, იმისი, თუ რა გზით და როგორ გამოიყენონ ის მკვიდრი და შეუწყვეტელი სიმდიდრე, რომელიც ბუნებამ მიწას მიაბარა, მაგრამ თუ აქ თვითონ თავად-აზნაურობამაც არ იგრძნო საჭიროება ამ სწავლისა და ცოდნისა, თუ თვითონ არ გამოეკიდა ამ სწავლა-ცოდნას და გულის ფიცარზე არ დაიწერა, რომ ქონება მარტო ცნობიერს შრომასა და გარჯას მოაქვს, სული ამაო იქნება. ყოველ უამისოდ ქონება ხელიდამ გამოეცლება და მხნესა და მარჯვე კაცს ჩაუვარდება.

მართალია, ეხლანდელი ეკონომიური ურთიერთობა და წეს-წყობილება არა ერთს და ორს მაგალითს გვიჩვენებს იმისას, რომ სიმდიდრე ჰგროვდება იმის ხელში, ვინც, ეკონომიურის თვალით, მუშაკი არ არის, ესე იგი, არ არის სიმდიდრის გამჩენი და სიმდიდრის მოქმედი, ვინც მარტო მხვეჭავია იმისი, რაც ცუდად ჰდევს, რასაც უთადარიგო და უქმი პატრონი ჰყავს. ეს უსამართლო ყოფა-მდგომარეობა, საცა მარტოკა ხარბობა ჰმოქმედობს მხნეობითა და სიმარჯვითა, საცა მარტო წყურვილი სხვის წოვისა და სხვისით რჩენისა დიდის ოსტატობით ართხებს სიმდიდრის შეძენასა. მეტის მეტი საშიში და საზარელი [illegible] ეხლანდელ ცხოვრებისა, ამ [illegible] დღეს, ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი ავალა აქვს და დიდი გზა ყოველ გვარის ქონების შეძენისა და მაშასადამე ადგილ-მამულისაც. ქვეყნისათვის საშიში ის-კი არ არის, რომ ქონება მართლა გამრჯელ და მხნე კაცის ხელში გადვიდეს უქმის კაცის ხელიდამ. აქ ქვეყანა მოგებაშია და არა წაგებაში, იმიტომ რომ მარტო გამრჯელი და მხნე კაცია ქვეყნის შემნახველი, ქვეყნის გამომკვებელი, ქვეყნის სიმდიდრის დამადგინებელი. უბედურობა იმაშია, როცა მხნენი და მარჯვენი არიან ხარბნი და სხვის ოფლის მწოვარნი.

როცა უწესოება ეკონომიურ ურთიერთობისა ამ ჯურის ხალხს გზას აძლევს სხვის სიმდიდრის შეძენისას, აქ უნდა შველა, რომ ეს ასე აღარ იყოს. აქ მთავრობას ბევრი რამ შეუძლიან და ვისურვოთ, რომ ეხლანდელმა ზრუნვამ მთავრობისამ ეს ყოვლად დასაღუპავი ვითარება გამოარკვიოს და წამალი რამ დასდოს.

---

## ახალი ამბავი

*** მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ 21,800 მანეთი შესწირა ტფილისის სამეფო ინსტიტუტს ყვავილის ასაცრელ სადგომის მისაშენებლად და ავადმყოფებისათვის ტახტების გასამართავად და ხსენებული ინ[illegible]

ტიტუტიც თავისს მფარველობის ქვეშე მიიღო.

*** ამ თვის ოც-და-ცხრას ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია კრება ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა. ამ კრებამ უნდა აირჩიოს კანდიდატები მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი ზ. ჭ—სა „ქართველი მაჰმადიანები კინტრიშის ხეობაზე“. წიგნში მოთავსებულია ბევრ-გვარი ცნობანი შესახებ გამაჰმადინებულ ქართველებისა, შეიცავს 48 გვერდს და ჰღირს ერთი აბაზი. წიგნი საკმაოდ სუფთათ და ლაზათიანად არის დაბეჭდილი.

*** „ტრამვაის“ პატრონი ბ-ნი ლორთქიფანიძე სამოსამართლო პალატამ შეუძლებლად იცნო ვალების გადახდისათვის და დაპატიმრება გადაუწყვიტა.

*** 19 ამ თვისას 34 გლეხი კიდევ ჩამოვიდა რუსეთის დამშეულ გუბერნიებიდგან. ამ ჩამოსულებმა სთქვეს, ჩვენზედ უფრო მეტი ხალხი გზაშია და ამ დღეებში ისინიც მოაღწევენ ტფილისსაო.

*** გუშინ წინ, 20 ამ თვისას, ტფილისის ოლქის სასამართლოს უნდა გაერჩია საქმე „ნორ-დარის“ რედაქტორის ბ-ნ სპანდარიანისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ცენზორის მიერ წაშლილის სიტყვების დაბეჭდვა გაზეთში. საქმის გარჩევა შემდეგისთვის გადასდეს, რა-კი მომჩივანი მელიქ-მეგრაბოვი არ გამოცხადდა სასამართლოში უწყების ჩაუბარებლობის გამო.

*** ტფილისის მაზრის შემდეგს სოფლებში: ბოგვსა, დიდს ენაგეთსა და ყარა-ტაფაში ყვავილი გაჩენილა.

*** ქალაქ ტულაში დაბეჭდილა „Опытъ географіи Кавказскаго края“ პ. პ. ნადეჟდინისა. ერთი რუსული გაზეთი შემდეგსა სწერს ხსენებულის წიგნის შესახებ: „აქამდე ლიტერატურში არ მოიპოვებოდა არც ერთი წიგნი, რომ შიგ დალაგებითა და რიგზედ ყოფილიყოს აღწერილი კავკასია. სკოლაში სახმარებელს რიგიანს სახელმძღვანელოსაც-კი ვერ იშოვნის კაცი ამ ქვეყნის გეოგრაფიისას. ეს გარემოება ნათლად აღნიშნავს, თუ რა ნაკლებად იცნობს ჩვენი განათლებული საზოგადოება კავკასიას. აუცილებლად საჭიროა ყველა განათლებულის კაცისათვის ადვილად შესაძენი და გასაგები წიგნი, რომ რამდენადმე უფრო ვრცლად გაიცნოს კავკასია. აი სწორედ ამ აზრით შეუდგენია ბ-ნს ნადეჟდინს თავისი წიგნი, რომელშიაც მოუთავსებია ყოველგვარი ცნობა, რაც-კი რამ მწერლობაში მოიპოვება შესახებ კავკასიისა. ეს წიგნი სწორედ ძვირფასი განძია გეოგრაფიისათვის. იმის შემწეობით ადვილად გაიცნობს კაცი კავკასიის ტოპოგრაფიას, ბუნებას, სხვა-და-სხვა ეროვნობას, ზნე-ჩვეულება-ადათებს, კულტურასა და ვაჭრობა-მრეწველობას. ყოვილისავე ამის შესახებ ნადეჟდინს თავისს წიგნში მოთავსებული აქვს მრავალ-გვარი მდიდარი მასალა, მოხერხებულად დაყოფილი ნაწილ-ნაწილად. წიგნი დაწერილია კარგის სალიტერატურო ენითა“.

*** რკინის გზებზე თვით იქაური მსახურნივე ძლიერ ხშირად არ ასრულებენ სარკინის-გზო წესდებულებას და გზათა მინისტრის მიერ გამოცემულს სავალდებულო დაკანონებას. ამ გარემოებას მთავრობამ ყურადღება მიაქცია და ეხლა წესდებულებას ადგენს იმისას, თუ რა წესით უნდა იქმნენ დასჯილნი რკინის გზის მოსამსახურენი მათთვის სავალდებულო კანონების რომელისამე მუხლის აუსრულებლობისთვის. ეხლავე გამორკვეულია, რომ რკინის გზის მოსამსახურენი საპოლიციო კანონისა და მინისტრის განკარგულების აუსრულებლობისათვის დასჯილნი იქმნებიან იმ გვარადვე, როგორც სახელმწიფო სამსახურში მყოფნი თავის პირდაპირ მოვალეობის აუსრულებლობისთვის. თუ რაიმე სატეხნიკო კანონი იქმნა დარღვეული, რომელსაც შეიძლება რაიმე უბედურება მოჰყვეს, მაშინ თუ სისხლის სამართლის კანონს უფრო მეტი სასჯელი არა აქვს გადაჭრილი ამისათვის, დამნაშავეს ან ათ თუმნამდე ჯარიმას გადაახდევინებენ და ან დააპატიმრებენ ერთ თვემდე.

*** სოფ. ველის-ციხე: 6 დეკემბერს ჩვენმა ახალგაზრდობამ წარმოადგინა „უჩინ-მაჩინის“ ქუდი შუაგულ რუსეთის გუბერნიის დამშეულ გლეხკაცების სასარგებლოდ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო, როგორც ჩვენი საზოგადოებიდგან, ისე მახლობელ სოფლებიდგან. სივიწროვის გამო ბევრი ფეხზე იდგა და ბევრნიც უკან დაბრუნდნენ. წარმოდგენის შემდეგ ადგილობრივის სკოლის მოწაფეებმა სასიამოვნოდ წაიკითხეს და იმღერეს რამდენიმე საყმაწვილო ლექსი რუსულად და ქართულად. შემდეგ წარმოადგინეს ცოცხალი სურათი „თამარი და დემონი“.

ბილეთი გაიყიდა 79 მან. და 10 კ., გარდა ბილეთების ფასისა შემოსწირეს: ი. მიტრაფანოვმა 3 მ., გ. გასიევმა 3 მ., ურიათუბნელებმა 4, სულ 10 მ., რომელიც ჯამს შეადგენს 79 მ. და 10 კ. 89 მ., 10 კ., აქედამ დაიხარჯა მეზურნეებზე 3 მ. და დურგალზე 1 მ., რომელმაც დასდგა სცენა,—სულ დაიხარჯა 4 მ., ნაღდი შემოსავალი დარჩა 85 მ. და 10 კ. ეს ფული გაიგზავნა გაზეთ „კავკაზის“ რედაქციაში გასაგზავნად მოსკოვში გრაფინია ტოლსტოის სახელობაზე.

*** ფცის ხეობა: (გორის მაზრა) კაცი სოფლიდამ-სოფლამდე ველარ წასულა მგლის შიშითა. შიგ სოფლებშიაც-კი დაეხეტებიან შეუპოვრად. ამას წინად ერთს ალელს გლეხს დასცემოდნენ შიგ სოფლის პირში და დაეწყოთ წეწვა, ჩოხა სულ შემოეგლიჯათ, მაგრამ ვერა ევნოთ-რა, რადგანაც ყვირილი მალე გაეგონათ სოფელში და ხალხი კეტებით გამოსულიყო მისაშველებლად. ან-კი რა გასაკვირველია, რომ მგლებიც-კი იბრიყვებენ აქაურ მცხოვრებთ, ზოგს სოფელში ერთი-ორი რიგიანი თოფიც არ მოიპოვება.

ამინდი ძალიან კარგია, თოვლი სულაც არ არის, დღისით თბილა და ღამით-კი ცოტად მოჰყინავს ხოლმე.

*** სოფ. ქურთა: ამ ზაფხულის სეტყვამ ძრიელ დააზარალა ქურთელები, მაგრამ მათ მაინც არ მოუხარეს ქედი ზარალს და რამდენსამე ყრილობაზედ საზოგადოება ერთხმად თათბირობდა თვისის მომავალის ცხოვრების გაუმჯობესობის შესახებ. ეს თათბირობა შეეხება სასოფლო მაღაზიის დაარსებას, რომელიც აქომომდე არა აქვთ ქურთელებს და სამრევლო სასწავლებლის გამართვას.—რომ იტყვიან, ერთი ჭირი მარგებალიაო, იქნება გაუმართლდეთ ქურთელებს. წრევანდელმა დასეტყვამ უფრო აგრძნობინა მათ მაღაზიის საჭიროება-.

სკოლის გამართვას, ოთხი-ხუთი წელიწადი მეტია, რაც ცდილობდა აწ განსვენებული თ. იასონ მაჩაბელი. ამოდენის ხნის მეცადინეობამ მხოლოდ ის სარგებლობა მოიტანა, რომ ეხლა, როდესაც თ. იასონის ძმამ ვასილ რ—ის ძემ და ივან მ—ის ძემ მაჩაბელმან (ბორტიშვილებმა) რამდენსამე ყრილობაზედ აუხსნეს ხალხს სარგებლობა სასწავლებლისა,—საზოგადოებამ თანხმობა გამოაცხადა. თ. ივ. მ—ძემ მაჩაბელი რვა წლით უთმობს უქირაოდ სოფელს სასწავლებლისათვის თავისს საკუთარს ხუთ ოთახიანს სახლს და ჰპირდება კიდევ საჭირო ნივთებითა და სახელმძღვანელებითაც დახმარებას. თ. ვასილ რ—ის ძემ მაჩაბელმან აღუთქვა თვისის საკუთარის ტყიდგან ხის მასალა, რამდენიც-კი დასჭირდებათ საკუთარის სასოფლო სასწავლებლის შენობისთვის და რამოდენიმე საჭირო ნივთიც.

*** გურია: ამ წინაზედ მიქელ-გაბრიელიდგან სუფსის რკინის გზის სადგურამდის გზა ერთობ ვიწრო და უყურადღებოდ მიგდებული იყო. ამ გზას პოლიციის ფეხი ნაკლებად სწვდება. რამდენიმე სოფელი აკრავს ამ გზას. ზედ დიდ-ძალი ხალხი დაიარება. ორის წლის წინად შეამჩნიეს, რომ იამფარეთის ტყეში ფირალები ჰბუდობენო; მოვიდა აქ მაზრის უფროსი ყაჩაღების შესაპყრობად, დაათვალიერა გზა და დარწმუნდა, რომ აუცილებელი საჭირო გზააო და დაავალა მიქელ-გაბრიელისა და ჩოჩხათის მამასახლისებს ამ გზის გაკეთება. ამათაც გაიყვეს მათ-მათი შესახვედრი სამუშაო. პირველმა თითქმის გააკეთებინა თავისი ხვედრი, მეორეს-კი ამისათვის არაფრად შეუწუხებია თავი. უფროსის ბრძანება დააძინა სალათას ძილით. სუფსის სადგურს ერთის ვერსის მანძილზე რომ მიუახლოვდებით, ისეთი საძაგელი გზაა, რომ გასავლელად-კი არა, წარმოსადგენადაც ძნელია. აქ ალა-ალაგ

# ფელეტონი

## ძმასთან მიწერილი

I

იმ აზრზედ ვიდგ, რომ ქვეყნად
არ აქვს თვალხილულს სამღერი,
რომ ჩვენთვის მუდამ მზად არი
მტკაველი მიწის ნაჭერი.
შენ-კი არა გძულს სოფელი,
გიყვარს ცხოვრების ნამქერი;
სთქვი: „სირცხვილია ტირილი,
არ არის კაცის საფერი!“
რა ვქნა მე, დაღონებულმა,
თუ თვალზედ ცრემლნი ჩადიან,
რა ვქნა, თუ ვჩივი და ვგლოვობ,
განა ტირილი მწადიან!
ბარემ მსურს, შემშრეს,—თვალები
ტირიან, არა ჰჩადიან!
ძნელია ვაჟკაცისათვის,
ქედი ედრიკოს სევდასა,
ეტაროს გულით ვარამი,
როგორც ყმაწვილი დედასა.
მკერდს ერჭვას ჭირის ლურსმანი,
ზედ ბედი სცემდეს ხვედასა!

II

გვიჭირს და გვიჭირს ცხოვრება,
მძიმე წუთი-სოფელი,
არ არის მუჭა მიწისა,
ინისა დასაწონელი,
გუბე ჩვენის სისხლისა
დგეს აუშრობელი.
ც გავერიე სოფელში,
მის მწარე ნაღარა,
ამდენმა ამოებამ
სული სრულიად დაღალა.
გული გაწყალდა, უდროოდ
გამომერია ჭაღარა.
ლეში დასუსტდა და შუბლი
მრავლად კოპებმა დაღარა.
მიწიერთ წარმავალობა,
ვაჰმე, მიტაცებს აღარა!
რა ვქნა, რა შავი მიწა ვქნა,
რა წყალს ჩავუდგე მდინარსა:—
მიწას ფეხს ვადგამ, მაგრა სდგას,
ცას შევცქერ ტკბილად მღიმარსა,
არც რას ის მშველის, ცრემლს ვყლაპავ
თვალებზე ჩამომდინარსა!
ბეჩავი ჩემი ცხოვრება
ლამის ბოლომდი გავლიო,
ჰაერი ვყლაპო, მზე ვჭვრიტო,
ფეხი მიწაზედ ვავლიო,
მაგრამ ეს ტანჯვის ფიალი
ველარ და ველარ დავლიო.
საწყალის დატანჯულისა
ჟამი უჟამოდ წავიდა;
სიცოცხლემ ფასი დაკარგა,
სოფელში აღარ გავიდა,
ლუკმა ველარვინ შეჭამა,
ყელში სიმწარით ჩავიდა.
ისიც გაგვშორდა, წავიდა,
ვინც აქამდისა გვფარვიდა.

III

დამჯდარი სატირელზედა
ვგლოვობ სამშობლოს ზიანსა,
გულ ამოსკვნილი ენასა
ველარ ვძრავ შხამით ცრიანსა.
ვტირი და ვტირი, რომ ვხედავ
ქვეყანას ნაოხრიანსა.
მიყვარხარ, ჩემო სამშობლოვ,
გეტრფი და გენაცვალები,
შენი სურვილიც ვატარო,
სანამ ლეშს ჰხიდვენ ძვალები.
ცოცხალი შენი შვილი ვარ,
მკვდარიც შენ მოგებარები,
წყეული ვიყო, ვტყუოდე,
დამეხშოს ქვეყნის კარები.
ვიცი, რომ ენით ლაპარაკს
ფასი არა აქვს წონაში;
ვიცი, რომ სიტყვა უსაქმოდ
მალე გაჰქრება ხსოვნაში.
მაგრამ თუ გული სავსეა
დიდ ტანჯვის ნაგუბარებით,
შორს მოჩანს კიდე დიდის ხნის
სახედი, სანუკვარებით.
რას იზამს გული ქოლვილი,
ხან ამას სწვდება, ხან მასა,
დღეს ერთში ექებს სიცოცხლეს,
ხვალ მეორეში დანასა.
ჟამმა და ბედმა ამ რიგად
ჩვენი ცხოვრება დანასა.

IV

ვაჰმე, რო სიტყვას და საქმეს
დიდი სჭირს სხვა-და-სხვაობა.
ბევრი თქმით მტრედად გვეჩვენა,
საქმით გასწია სვაობა.
„ჩვენა ვჯობივართ ძველებსა“,
ამბობს ახალი თაობა.
—საქმით-კი ვერა გვიჩვენა,
ვერაფრითა ქნა თაობა.
დავწერილდით, როგორც დაწერილდა
ჩვენი გრძნობა და ნდობანი;
აქამდი მაგრა ზემდგომთა
გვერგო ქვე მიწას ჯდომანი.
მრავალნი წავლენ, მრავალნი
ზაფხულნი, შემოდგომანი,
სანამ ჩვენ კიდევ გვერგება
ფეხზედ წინანდლებრ დგომანი.
და ჩვენ მგოსანთა ვალია,
ვიტიროთ ქვეყნის ზიანი,
აუშვყოთი ტანჯულთ მყობადი
ვაუწყოთ სინათლიანი.
გულს შხამი ვასვათ და ვასვათ
ტანჯულთ და გვემულთ ზიარი!!

თ. რაზიკაშვილი

1891 წ.

## დუდუკი

მიყვარს, მიყვარს ტკბილი ენა,
მკვდრისაც გამაცოცხლებელი.
მძულს კუს ენა, მისი სტვენა,
გულის გამანელებელი.

—

მიყვარს, მიყვარს დაჩაგრულთა
მომხრე, შემბრალებელი.
მძულს მხეცობა ბოროტ-სულთა
სუსტის დამპონებელი.

—

მიყვარს, მიყვარს, ძმებო, ძმობა,
გულის გამცისკრებელი.
მძულს ღალატი, შური, მტრობა,
უფლის გამრისხებელი.

—

მიყვარს, მიყვარს გონიერი,
მშვიდი, შემწყნარებელი.
მძულს ამაყი ქია-მტვერი,
არვის რად ჩამგდებელი.

—

მიყვარს, მიყვარს სატრფო ჩემი,
მარად საგონებელი.
მძულს, ეშმაკი ანგელოზად
თავის მომჩვენებელი.

—

მიყვარს, მიყვარს დოლ-დუდუკი,
სევდის გამქარწყლებელი.
მძულს მარადის ოხვრა, ზმუკი,
გულის დამხავსებელი.

—

მიყვარს, მიყვარს მთა და ბარი,
სულის დამატკბობელი.
მძულს ზაფხულში ავლაბარი,
ჯანის დამდნობელი.

—

მიყვარს, მიყვარს ცოდნა-შრომა,
კაცის ამყვავებელი.
მძულს სირეგვნე, უქმად ჯდომა,
ბედის გამშავებელი.

—

მიყვარს, მიყვარს ხელოვნება,
მადლის მომნიჭებელი.
მძულს უაზრო ბაძვა, მცნება,
გულზე მიუცხებელი.

—

მიყვარს, მიყვარს ყველა ბრძენი,
ქვეყნის გამნათლებელი.
მძულს ტარტარა, ცრუ-რეგვენი,
ქების მეძიებელი.

—

მიყვარს, მიყვარს სულ-გრძელობა,
კაცის მაცხოვნებელი.
მძულს სიმდაბლე, სულ-მოკლობა,
გამაპირშავებელი.

—

მიყვარს, მიყვარს გმირთა გმირი,
ქვეყნის გამლვიძებელი.
მძულს უტვინო, ქლესა, ვირი,
ჩინის მეძიებელი.

დ. მაჩხანელი

გოლვაშიაც „სადები" ტალახია, მაგრამ ახლა სულ არაფერს არა ჰგავს: ცხენი ისე ჩაიფლობა შიგ, რომ ყურების მეტი არაფერი არ გამოჩნდება. ფეხით გავლაც ვერაფერი სანატრელია. სწორედ ერთს საათს მოუნდებით ამ ერთის ვერსის გავლას, თუ ცოტაოდენს უფრთხილდებით ტალახში ერთიან ამოთხუპნვას. ერთის სიმშრალიდგან, რომ მეორე სიმშრალემდის გაუხტე, ნამდვილი ჯამბაზის სიმარდე უნდა გქონდეს. მარტო ფეხების გატალახიანებით რომ გადარჩე, მაშინაც დიდი ნავარჯიში უნდა იყო გახტომა-გამოხტომაში. ამას რომ გასცილდებით ცოტას, დაინახავთ უშველებელს ტბა-ტალახს; ვიღაც „ღვთის კაცს" გაუგდია ზედ ვიწრო, მრუდე ხე. ტანის სიმსუბუქე, სიმარდე, გადახტომა, რაც წელან გენატრებოდა, უქმია. აქ არის საჭირო დაფიქრება, სიდინჯე, წელისა და ფეხების სიმაგრე. უნდა შეიარაღდე გრძელის საქით, ახსენო ღმერთი და შედგე ამ „ბეწვის ხიდზედ", მაგრამ ჩვეულებრივის სიარულით გავლა არ ვარგა, გვერდელად უნდა გახვიდე. ერთს ფეხს რომ წასწევ, უნდა გააჩერო, მეორე ფეხი უნდა მიიტანო იმ ფეხთან, ასე რომ ცალ-ცალი ფეხი უნდა „აჩოჩო". სიფრთხილე გინდათ, რომ ფეხის განძრევა მეტ-ნაკლები არ მოგივიდეთ. თუ „ერთიცახე" შეგეშალათ და „გაგიშპათ" ფეხი, მშვიდობით, წახვალთ ყრიალით კისრამდი „მიწანელაის" სუნ-ადენილს ტალახში. ამ ტალახის თვისება ის არის, რომ ტანის ხორცს სალებავსავით ეკიდება და აშავებს. ამ ყოფაში, მგონია, დედამ რომ გნახოთ, ვერ გიცნობთ. ნაბრძანები ისე იყო, თხრილები უნდა გაჰრილიყო, ბოგირები უნდა გაეკეთებიათ და მოეკენჭათ, მაგრამ არ მოხდა ასე. იმედია ეხლა მაინც განმეორებით ბრძანება მოუვა ჩოჩხათის მამასახლისს და ამ გზასაც ეშველება გაკეთება.

*** 20 ამ თვისას პოლიციის პირველს ნაწილში მრავალ-ძალის მცხოვრებელი სპირიდონ სხირტლაძე სიმთვრალის დროს წაეჩხუბა თავისს მეზობელს ზაქარია გოგინიძეს და ხელში დანით დასჭრა. დამნაშავე შეიპყრეს.

## თეატრის მატიანე

პარასკევს, 20 დეკემბერს, ჩვენმა სათეატრო დასმა წარმოადგინა სამმოქმედებიანი ოპერეტი „ნატვრის თვალი". ამ ოპერეტში სასიმღერო ბლომად არის, ბევრად უფრო მეტი, ვიდრე იმ ოპერეტებში, რომელიც ჩვენ გვინახავს წარმოდგენილი ქართულს სცენაზე. „მეჯლიში იტალიელებით" და „უშიშარი და გულმართალი რაინდი" კიდევ შესაძლოა წარმოდგენილ იქმნას შინაურის მოხერხებით და მუსიკის ცოდნაში გაუწურთვნელ არტისტების შემწეობით. ხოლო გუშინდელ ოპერეტის წარმოდგენა ამ ნაირად შეუძლებელია, რადგან მის წარმოსადგენად მუსიკის მცოდნენი და მომღერალნი არიან საჭირონი. ამიტომ ქ-ნი ძნელაძისა, ბ-ნი ივერიელი და დირიჟორი ორკესტრისა ბ-ნი ფალიაშვილი სწორედ პოვნა არის დასისათვის ამ საქმეში. უმთავრესი სასიმღერონი ძნელაძისასა და ივერიელს ჰქონდათ, ხოლო ხელმძღვანელობა ორკესტრისა ეკისრნა ბ-ნს ფალიაშვილს, რომელსაც მოემზადებინა და გაემართნა აგრეთვე ხორონი ქალთა და კაცთა.

შინაარსი ოპერეტისა საგულისხმიეროს არაფერს წარმოადგენს. ერთი ახირებული ამბავია, უცნაურად მომხდარი დიდად უცნაურ და სასაცილო გარემოებათა შორის. უმთავრესი ძარღვი ამ ამბისა სიყვარულია მოსამსახურე გოგოსი და მწყემს-მემცხვარისა. მუსიკა მთლად ოპერეტისა მხიარულია, სუბუქი, გულის გამართობელ-გამაყოლიებელი. შიგა და შიგ ურევია რამდენიმე ლამაზი ხმა და ჰანგი, ან ერთისა და ორის სათქმელი, ან ხოროთი სამღერი; ეს ხმა-ჰანგნი ფრიად სასიამოვნო მოსასმენია და ატკბობს ადამიანის გრძნობას.

მღერა მ. ძნელაძისა და ივერიელისა საზოგადოებამ დიდად მოიწონა და მრავალის ტაშის კვრით დააჯილდოვა ეს ორი მომღერალი. გარგად მოუვიდათ მეტადრე დუეტი პირველსა და მეორე მოქმედებაში. ხმა ქ-ნ მ. ძნელაძისა ცოტა სუსტია, მაგრამ მეტად ტკბილი, შნოიანი, საკმაოდ კარგად შემუშავებული და ნავარჯიშევი. დაბალს სათქმელში უფრო ემჩნევა მის ხმას ეს სისუსტე, რის გამოც ცოტა ნაკლებად ისმის მისი სიმღერა, მეტადრე ხოროში. ხოლო მაღალს სათქმელში-კი მ. ძნელაძის ხმა ენერგიას არ არის მოკლებული, საკმაოდ ძლიერია და ზარივითაც წკრიალებს. არც ბ-ნ ივერიელის ხმაა დიდი, მეტადრე მაღალს სათქმელში მკვრივი და ზარიანი არ არის, მაგრამ საზოგადოდ სასიამოვნო თვისებისაა: საკვირველადა სწვდება ადამიანს გულში და სიტკბოებით აღელვებს, ატოკებს. ჩვენის აზრით, ასეთი თვისება ხმისა დიდი ღირსებაა. რამდენი ბარიტონია, რამდენი ტენორი და ბასია იშვიათის დიდის ხმისა, მაგრამ ამ თვისებას-კი მოკლებულია და ადამიანის გულს სიამოვნებით არ აძგერებს მათის ხმით ნათქვამი სიმღერა. შესაძლოა, ჩვენ ვსცდებოდეთ და პატივცემულს არტისტებს წუხელ ხმა ჰქონოდეთ ცოტა წასული და გალახული ბევრის მღერითა და მზადებით რეპეტიციების დროსა. თუ ასეა, იმედია, შემდეგ, როცა დასვენებულნი იმღერებენ, მათი ხმა უფრო ძლიერი და წკრიალა იქნება.

სამწუხაროდ, როგორც სიმღერა ჰქონდა ამ ორს არტისტს კარგი, ისეთივე თამაშობა არა ჰქონდათ. ეტყობოდათ გამოუცდელობა, შეუჩვევლობა სცენისა, უხერხულობა, მაგრამ, ვგონებთ, ამ ნაკლს მალე და ადვილად მოიცილებენ თავიდამ. მაინც და მაინც თამაშობა მათი ანსამბლს სრულიად არაფერს არ უშლიდა.

თამაშობაში და საკომიკო სასიმღეროებში შეუდარებული იყო ჩვენი ყოვლად ნიჭიერი ვ. აბაშიძე. დაჰხოცა ხალხი სიცილით იმისმა საკვირველმა ოსტატურმა თამაშობამა და კომიკურმა სიმღერამ. თამაშობაშივე მეტად კარგი იყო აგრეთვე ბ-ნი გედევანიშვილი. გედევანიშვილი, საზოგადოდ, კარგი, გამოცდილი, გონიერი არტისტია, მაგრამ იმ საღამოს სწორედ თავის თავს აჯობა, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ. იშვიათად გვინახავს ისეთის კომიზმით სავსე თამაშობა, როგორიც ჰქონდა იმ საღამოს ბ-ნს გედევანიშვილს.

ჩვენს შინაურს მომღერალებში თავი გამოიჩინა ბ-ნმა შათირიშვილმაც, რომელიც უკანასკნელს მოქმედებაში საკმაოდ კარგად ჰმღეროდა ხოროსთან ერთად. თამაშობა შათირიშვილისა არ იყო ურიგო, მხოლოდ ამას ვერ მივხვდით, რათ იყო პირველს მოქმედებაში მუდამ წელში მოხრილი, და როგორ მოხდა, რომ ისე გაყოჩაღდა და გასწორდა წელში მესამე მოქმედებაში?! იქნება იმის გამო, რომ შელახეს მისი თავ-მოყვარეობა?! ხოროებსაც არა უშავდა-რა, საკმაოდ რიგიანად მომზადებულიყვნენ, თუმცა ალაგ-ალაგ სიყალბე ემჩნეოდა იმათ სიმღერას. მაინც დიდი ამბავია, რომ სრულიად გამოუცდელნი ასე კარგად ახერხებდნენ სიმღერას და არაფრით არ აფუჭებდნენ წარმოდგენის საერთო სასიამოვნო ზედ-მოქმედებას.

ამ სახით, წელს პირველად ვნახეთ ქართულად წარმოდგენილი, ცოტად თუ ბევრად, რთული ოპერეტი; პირველად მოვისმინეთ ევროპიულ მუსიკის ერთ-ერთი ნაწარმოები; წელს პირველად გამოვიდნენ ქართულს სცენაზე მუსიკის ცოდნაში დახელოვნებულნი, ევროპიულს სიმღერაში გაწვრთნილი ქართველნი. უცხო ერთა სცენაზე მოღვაწეობას, ვეჭობთ, სჯობს სამშობლო ქვეყნისთვის მუშაობა და გამრჯელობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პირველი ცდა და ნაბიჯი პირველ ცდად და ნაბიჯად არ დარჩება. თუ მხნეობა და გულმოდგინება იქნება, თუ სურვილი საეროვნებო საქმისა არ მოგვაკლდება, შესაძლოა, ყველა მუსიკის მცოდნე, მომღერალნი ქართველნი, ყველა მოყვარულნი ამ მადლიანის ხელოვნებისა ერთად შეერთდნენ და ბევრად უკეთესი ნიმუშები სამუსიკო შემოქმედობისა გააგონონ ჩვენს ქართველს საზოგადოებას, ვიდრე ის მუსიკა მეორე ხარისხოვან კომპოზიტორისა, რომელიც მოვისმინეთ „ნატვრის თვალში". ძნელია, როცა ერს წილი არ უდევს იმ სიკეთეში, რომელიც წარმატებულს ქვეყნებს დიდი ხანია შეძენილი აქვთ და მის ნაყოფით სტკბებიან და გულს ირთობენ. ეხლა, რაკი პირველი ნაბიჯი გადადგმულ იქმნა, თითქო იმედი გვესახება გულში და გვინდა დავიჯეროთ, რომ შესაძლოა, იმ დროსაც მოვესწროთ, როცა არც ამ მხრით ვიქნებით სხვებში გამოკლებულნი, ჩვენი საკუთარი კომპოზიტორები და მაესტროები გვეყოლება და საკუთარი საოპერო დასი გვექნება შემდგარი.

გუშაგი

## კახეთის ამბები

(წერილი თელავიდამ)

ჩვენს თელავში ღამის ოსტატების მოქმედება ისე გახშირდა, რომ მკვიდრნი საღამოს რვა საათიდამ ჩაკეტილს ოთახებში სხედან. როგორც ქალაქში ამბობენ, მე-კი დაჭეშმარიტებით არ ვიცი, აქაურმა ადმინისტრაციამ აუკრძალა მცხოვრებლებს ათის საათის შემდეგ ქუჩებში სიარული. ამას წინად რო სოფ. ვაჩნაძიანში თ. ჯანდიერის სახლს ავაზაკნი დაეცნენ, იმათი ვინაობა უკვე გამოიკვლია პოლიციამ; ეს ავაზაკი გახლავთ ალექსი ერმალოზის-ძე კობახიძე, ეხლახან ციხიდამ გამოქცეული. ეს კობახიძე, რომელსაც კიდევ სხვა ბოროტ-მოქმედებათა ჩადენა ჰბრალდება, პოლიციას ჯერჯერობით ვერ შეუპყრია, რადგანაც იგი ძალიან ოსტატი სჩანს თავის საქმისა. პოლიცია როცა მას თელავში დაეძებს, იგი სოფლებში ნავარდობს, და როცა სოფლებში დაეძებენ, თელავის დუქნებში ქეიფობს; სწორედ გითხრათ, ამ ავაზაკმა სასაცილოდ აიგდო, როგორც საზოგადოება, აგრეთვე პოლიციაც; კობახიძეს, როგორც აღმოჩნდა, ძალიან ბლომად ჰყავს შემწეები და თანამგრძნობლები ყველა მხარეს თელავის მაზრაში, და ამისათვის თავისუფლად გრძნობს თავისს თავს. ისე დღე არ გაივლის, რომ იმისი ნამოქმედარი არა აღმოჩნდესრა. ამას წინად თელავში ერთის დურგლის, სახელდობრ სანდრო ყურაშვილის, სახლში იპოვნეს თ. ჯანდიერის ხანჯლის პირი, რომელსაც ვერცხლი გადაძრობილი აქვს. რასაკვირველია, ყურაშვილი დაპატიმრეს. ამან გულწრფელად აღიარა, რომ ეს ხანჯალი და სხვა ვერცხლეული ეფრემა მოსესოვმა მომცაო, მაგრამ ვერცხლი უკანვე დავუბრუნეო. როგორც მოსესოვი, აგრეთვე სხვებიც—ამხანაგნი კობახიძისა—დაპატიმრებულნი არიან, აგრეთვე წინა წერილში მოხსენებული მედუქნე—სტეპკო აკოფოვიც. მაგრამ უმთავრესი გმირი საქმისა ჯერ შეპყრობილი არ არის და უიმისოდ აბა რა გამოვა?

ავაზაკთ თავდასხმის შიშმა ჩვენს თელავში ერთი კომიკურ-ტრაგიკული ამბავი მოახდინა: ერთს საღამოს თელავის ერთი ინტელიგენტთაგანი წავიდა სტუმრად თავისს მეგობართან, რომელიც იქვე რამდენისამე ნაბიჯის მანძილზე იდგა. მივიდა სახლთან და დაარახუნა ოთახის კარები. ოთახიდან შემოსძახეს: „ვინა ხარ?" სტუმარს აზრად მოუვიდა გამოხუმრება და ხმის გამოცვლით უპასუხა: „გააღეთ"! ოთახიდამ: „სთქვი, ვინა ხარ?"; გარედამ: „გააღეთ ჩქარა, თორემ ძალით გავაღებ კარებს", და მიმართა, მითომ, კარების მტვრევას. აქ შიგ მყოფი ცოლ-ქმარნი შეშფოთდნენ და დაიწყეს ყვირილი: „ავაზაკები დაგვეცნენ, ვინა ხართ ქრისტიანი, გვიშველეთ"!! ხმაურობაზე სამზარეულო ოთახიდან გამოცვივდა რამდენიმე მოსამსახურე შეშინებულებისა და მისცვივდნენ სტუმარს: ერთი თუ ორი, სანამ ჩვენ მივეშველებოდით. რასაკვირველია, შემდეგ გამოცხადდა ვინაობა სტუმარისა და დამშვიდდნენ კიდეც, მაგრამ უბედურება ის არის, რომ საქმეს ცოტა სხვა შედეგიც მოჰყვა. სტუმრად მიმავალის ცოლი, რომელსაც გაეცილებინა ქმარი, იდგა თურმე, ამ შემთხვევის დროს, თავის სახლის აივანზე და, რა შემოესმა ქმრის ძახილი: „მიშველეთ, მე ეს და ეს ვარ, ნუ მცემთ"! ჰგონებოდა, რომ ქმარს მიკლავენო, მოყოლიყო თავის მხრით ყვირილს და შემდეგ გული წასვლოდა; დღესაც შეუძლოდ გახლავთ ნერვების სისუსტის გამო.

ერთი სასიამოვნო ამბავიც მინდა შეგატყობინოთ: იქნება კარგა ხანი, რაც ჩვენს მაზრაში სირაჯებმა ღვინის წყვა ლაზლ შემოკრულის ხელჩაფებით (ნახევარ ჩაფიანი სპილენძის ჰურჰელი) შემოიღეს. ხელ-ჩაფა მოგეხსენებათ. მაგრამ ლაზლი, რომელიც მარტო ჩვერშია, შეიძლება, ზოგიერთმა არ იცოდეს, თუ რა არის. ხელ-ჩაფის პირს გარშემო აქვს შემოკრული რამდენსამე რიგობად, სხვილი თოკი, ანუ საბელი და უფრო ხშირად ნაბადი. ეს სამკაული, ლაზლად წოდებული, ხელჩაფის პირზე რამდენსამე გოჯზედ არის ამაღლებული. გამოანგარიშებულია, რომ თითო ხელჩაფა ამ ლაზლის წყალობით ბოთლ ნახევარს მატულობს, თუ არა მეტს. ასე რომ, წურბელა სირაჯები, მიუხედავად იმისა, რომ ღვინო თითქმის წყლის ფასად მიაქვთ, სცდილობენ, სხვა-და-სხვა მოტყუებით, როგორმე უფრო ბევრი წილი ღვინო დასხლიტონ გლეხკაცობას... (თავადებზე არაფერს ვიტყვი, თუმცა ისინიც იმავე ტაფაში იწვიან). ჩვენი ხალხი მიეჩვია ამ გაკვრა-გაგლეჯას და დღემდის არ აქცევდა ყურადღებას ლაზლ-შემოკრულს ხელჩაფებს. ამ რამდენისამე კვირის წინად წინანდლის ნაწილის ბოქაულმა, ბ-ნმა იორამიშვილმა, მიაქცია ამ ღვინის მყიდველების საქციელს ყურადღება და რამდენისამე სირაჯის ხელჩაფა ოქმითურთ თელავის მომრიგებელს მოსამართლეს წარუდგინა.

ამ დღეებში გაირჩა აქაურს მომრიგებელს სასამართლოში ორი საქმე შესახებ ზემოდ მოყვანილის საგნისა და მომრიგებელმა მოსამართლემ მიუსაჯა სამს სირაჯს თითო თვე ციხეში დაპატიმრება და ხელჩაფების გაუქმება. საქმის გარჩევას დიდძალი ღვინის მყიდველნი დაესწრნენ და გულ-ნაკლულნიც დაბრუნდნენ სახლებში. ბოქაულმა თავისს საბოქაულოში გასცა ბრძანება, არავის შეეძლოს ლაზლ-შემოკრულის ხელჩაფით ღვინის ამოწყვა; თუ შემცნევენ სოფლებში ამ ნაირს ხელჩაფებს, მოხელეთ უნდა დააპატიმრონ და შეადგინონ ოქმი, რომელიც დანიშნულებისამებრ უნდა წარადგინონ.

ბ-ნს ბოქაულს აზრად აქვს, შემოიღოს ჩვეულებად, რომ ღვინო იყიდებოდეს ჩაფობით; ესე იგი, რამდენიც ჩაფი ამოიღონ, იმდენი ფულად გაუსწორდნენ. მაშინ ღვინის გამყიდველი ასცილდება ჰაძნიკების დასხმას, გადაღებ-გადმოღებას და სხვ., რომლის წყალობით საპალნეზე 6—5 ჩაფით მეტი მიაქვთ სირაჯებს. უნდა წარმოიდგინოთ სირაჯების სასოწარკვეთილება, რომელნიც ორს ცეცხლს შუა არიან დღეს: არ იყიდონ ღვინო, მაშინ ვაჭრობას, რომლითაც ისინი სცხოვრებენ და მდიდრდებიან, თავი უნდა დაანებონ. იყიდონ და, ძველებურად ვერ შეუძლიანთ მოტყუება ღვინის გამყიდველებისა, რომელთაც გაახილეს თვალი, მიხვდნენ სირაჯთ მოქმედებასა და ძალიან გულმოსულნიც არიან.

დასასრულ, უნდა ვსთქვათ შემდეგი: მიკვირს და ძალიანაც მიკვირს ჩვენის საზოგადოების გულ-გრილობა შესახებ საქველ-მოქმედო საქმისა. სამწუხაროდ, თელავის საზოგადოების უმეტესი ნაწილი ინტელიგენციაა და ამ ინტელიგენციამ არც ერთს საქველმოქმედო საქმეს თანაგრძნობა არ გაუწია, მაშინ როდესაც სოფლებ- [illegible] მიც-კი [illegible] ფული გაიღო. (დიმიტრი ყიფიანის, დიმიტრი ბაქრაძის, თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის ფონდებისათვის, აგრეთვე ყაზბეგის სასარგებლოდ—და ქალაქი, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ადვილად შეუძლიან ყველა ამ საქველ-მოქმედო საქმეს ხელი გაუწოდოს საშველად—უძრავად რჩება. რა არის მიზეზი?—ჩემის აზრით, ის, რომ მოთავე არ

არის. მოთავეც გამოჩნდებოდა, მაგრამ მოთავეც მოთავესა ჰგავს. ჩვენის საზოგადოების წევრნი, თუ მოთავე წარჩინებული კაცი არ არის—ზურგს შეაქცევენ ხოლმე ფულის მკრეფავს, და ის ავიწყდებათ, რომ სულ ერთია, ვინც უნდა იყოს მოთავედ. ოღონდ საქველ-მოქმედო საქმეს შემატოს რამ. დრო არის, მე მგონია, გამოვერკვიოთ ამ მიძინებულს მდგომარეობას, თორემ ძალიან უკან ჩამოვრჩით სხვა ჩვენს თანამოძმეებს და იმათ არაფერში არა ვბაძავთ.

არამკითხე მოამბე

## წვრილი ამბავი

65 წლის მოხუცი ბრაზილიის იმპერატორი დონ-პედრო, მოშორებული თავის სამშობლოს, გარდაიცვალა პარიჟში. დონ-პედრო ისეთი მართალი, გულ-კეთილი და სათნოიანი კაცი იყო, რომ თავისს მტრებსაც-კი უყვარდათ. ბრაზილიის იმპერია დაარსდა 1822 წელს. ბრაზილიის პირველ იმპერატორად იყო დონ-პედრო I ალკანტა. 1831 წელს დონ-პედრო I ვერ მოურიგდა ბრაზილიის ლიბერალთა დასს და იმპერატორობას თავი დაანება, სამეფო ტახტი თავისს 5 წლის შვილს დონ-პედრო II-ს დაუთმო და ჩუმად ევროპაში წამოვიდა. დონ-პედრო II-ის მცირე წლოვანობის დროს ბრაზილიაში სულ მოკლე ხანში მრავალი რეგენტი გამოიცვალა. ამის გამო პარლამენტმა აღარ დაიცადა დონ-პედროს სრული წლოვანი გამხდარიყო. 1840 წელს 15 წლის დონ-პედრო ბრაზილიის ტახტზედ ავიდა. 50 წლის განმავლობაში იმპერატორი დონ-პედრო დაუღალავად შრომობდა ბრაზილიის იმპერიის კეთილ-დღეობისა და განვითარებისთვის და მართლაც ბევრი სარგებლობა მოუტანა ბრაზილიას. დონ-პედრომ ბრაზილიაში გამართა ტელეგრაფი, გაიყვანა რკინის გზები, მოაწყო სანაოსნოთ ამაზონკის მდინარე და გამართა სკოლები. 1850 წელს დონ-პედრომ მოსპო ბრაზილიაში საზიზღარი გაჭრობა ტყვეებითა; 1871 წელს პარლამენტს მიაღებინა კანონი შესახებ ბატონ-ყმობის მოსპობისა. 1885 წელს თავისუფლება მიანიჭა ყველა ყმებს, ვინც 60 წელს გადასცილდებოდა და 14 მაისს 1888 წელს სრულიად მოსპო ბრაზილიაში ბატონ-ყმობა და მონობა. 15 ნოემბერს 1886 წელს რიო-ჟანეიროში რევოლიუცია მოხდა. დონ-პედროს არ უნდოდა ბრაზილიაში რევოლიუციის დროს სისხლი დაღვრილიყო; ამიტომ თითონ თავის ნებით დაანება თავი ბრაზილიის ტახტსა და ევროპაში გადასახლდა. განსვენებულს იმპერატორს დონ-პედროს ძლიერ უყვარდა მეცნიერება და ყოველ-გვარი ხელოვნება. ევროპაში მოგზაურობის დროს 1871, 1876 და 1887—88 წლებში და უკანასკნელს სამის წლის განმავლობაში დონ-პედრო გულ-მოდგინედ თვალს ადევნებდა ევროპის მუზეუმებს, სამეცნიერო საზოგადოებებს და უკანასკნელს დღემდე მეცადინეობდა და სწავლობდა მეცნიერებას და ლიტერატურას.

დონ-პედროს გულ-კეთილობისა და სათნოების შესახებ მრავალი ამბავია დაბეჭდილი გაზეთებში. მაგალითებრ, რიო-ჟანეიროს იმპერატორი დონ-პედრო ძველებულს და დანგრეულს სასახლეში სცხოვრობდა. პარლამენტმა სასახლის განახლება განიზრახა, მაგრამ დონ-პედრომ სთქვა: „რა დროს ჩემი სასახლის განახლებაა, როცა იმპერიაში სკოლები არა გვაქვს საკმარისადო.“ დონ-პედრო დაუღალავი მშრომელი იყო. მუდამ დღე დილის 6 საათზედ იღვიძებდა ხოლმე და 9 საათიდგან სასახლის კარი ღია ჰქონდა ყველა იმისთვის, ვისაც-კი იმპერატორთან საქმე ჰქონდა რამე და იმის ნახვა უნდოდა. ამას გარდა კვირაში ერთი დღე ღარიბ ხალხისთვის ჰქონდა გადადებული. ამ დღეს სასახლის ეზოში იმპერატორი თავის ხელით ურიგებდა შემწეობას ყველა გაჭირვებულს და დავრდომილს. დონ-პედროს გულ-კეთილობას და თავისივე მტრების შეწყნარებას თითქმის საზღვარი არა ჰქონდა. ერთმა მწერალმა ბრაზილიაში წიგნაკი გამოსცა, რომელშიაც დონ-პედროს და იმის გვარეულობას დასცინოდა. შემდეგ, როცა ამ მწერალმა სამშობლოს ერთგულობით იჩინა თავი, დონ-პედრომ თითონ დანიშნა სენატორად თავის შეურაცხყოფელი. ბრაზილიელებს ძლიერ უყვარდათ დონ-პედრო. ერთხელ ხელის-მოწერით სამი მილიონი ფული შეაგროვეს დონ-პედროსთვის რიო-ჟანეიროში ძეგლის ასაგებად. იმპერატორმა დონ-პედრომ ეს ფული გამოართვა და ბრაზილიის სწავლა-განათლების სამინისტროს გადასცა.

## დეპეშა

20 დეკემბერი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ქალაქის მოურავმა განაცხადა დღეს საბჭოში, რომ გამგეობამ ასი ათასი მანათი შეიტანა იმ ზარალის დასაფარავად, რომელიც წამხდარის ფქვილის ყიდვაზე მოგვივიდაო. ხვალ შესდგება და დაიწყებს საქმის გამოძიებას საბჭოს კომისია. კომისიონერი პუხერტი დაპატიმრებულია.

**სარატოვი.** საერობო კრებამ გამოსთქვა, საჭიროა, რომ კაცთაგან, რაც მომეტებული ჰინახული აქვთ, შესყიდულ იქმნასო.

პეტერბურგის ბირჟა, 17 დეკემბერი

| | მყიდველისა. | | გამყიდველისა. | | გაყიდულისა. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | მან. | კ. | მან. | კ. | მან. | კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, | 20 | 8 1/2 | | — | ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 163 1/2 | | 164 | | — | ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1, | 19 | — | ,, | — | ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — | ,, | — | ,, | 24 1/2 | |
| —მეორისა . . . . | — | ,, | — | ,, | 220 | |
| —მესამისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი, . . . , . | 199 | | — | ,, | 202 | |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 6% . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| 5% . . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ქუთაისის ბანკისა . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — | ,, | — | ,, | — | ,, |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისაშავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

სამშაბათობით: ნაშუადღევს 4 საათზე, მოკლე გზით, სუხუმსა და ნოვოროსიისკში შეივლის.

ხუთშაბათობით: ნაშუადღევს 4 საათზე, მოკლე გზით, ნოვოროსიისკში შეივლის.

შაბათობით: საღამოს 8 საათზე, შორის გზით, ყოველს ნავთ-სადგურში შეივლის.

ორშაბათობით: საზღვარ-გარედ კონსტანტინოპოლისაკენ, საღამოს 7 საათზე

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: დილით, მოკლე გზით. გამოივლის კერჩსა და სუხუმზე.

ოთხშაბათობით: დილით, მოკლე ზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზედ.

პარასკევობით: საღამოზე, შორის გზით.

კვირაობით: დილით, სტამოლიდამ.

ფოთში მოდის ბათუმიდამ: ორშაბათობით, შუადღისას.

ფოთიდამ ბათუმს მიდის: ხუთშაბათობით, დილის 9 საათზე. (ბათუმში მიმავალ მგზავრთ შეუძლიანთ გადავიდნენ საფოსტო გემზე, რომელიც გადის ნაშუადღევს 4 საათზე).

კვირაობით: დილის 9 საათზე.

ფოთიდამ სუხუმს: ორშაბათობით, შუადღისას.

გემი „*Бабушка*“ ბათუმიდამ ფოთს მოდის კვირაობით და ოთხშაბათობით, ნაშუადღევს 2 საათზე. ბათუმიდამ გამოდის იმ დროს, რომელსაც დაჰნიშნავს ბათუმის საააგენტო.

ფოთიდამ ბათუმს მიდის:: სამშაბათობით, დილის 9 საათზე, იმ გემს მიუსწრობს, რომელიც სუხუმზე გაივლის და ოდესაში მიდის.

შაბათობით: დილის 9 საათზე. ესეც იუსწრობს ოდესაში მიმავალს გემს.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . | „ | 40 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 20 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა . . . . . | „ | 80 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჰონქაძისა . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სამი სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . . | „ | 30 |
| ნაქვთები მოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . | „ | 50 |

## ი. ალოიზი და ამხ.

აბრეშუმის ჭიის მოსაშენებელი სახლი მოლტიფაოში, კორსიკას (საფრანგეთში)

ვისაც ჰსურს ალოიზის ფირმის აბრეშუმის ჭიის თესლის შეძენა, უმორჩილესად ვთხოვთ, მიმართონ კავკასიის **სამეურნეო საზოგადოებასა და აბრეშუმის ჭიის სადგომს ტფილისში.**

ბევრის მსყიდველთ მიმართონ წევრს სამეუნეო საზოგადოებისას, ბ-ნს ვ. სულხანიშვილს, ტფილისში, კუკია, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, № 39.

აბრეშუმის ჭიის თესლი ბ-ნ ალოიზისა ყუთებში არის, თითოში 1, 3, 5 და 10 მისხალი. ერთი მისხალი ღირს სამი აბაზი.

ამ აბრეშუმის თესლის სიკეთის თავმდებია ის გარემოება, რომ 1890 წელს მისი პატრონი დაჯილდოვებულ იქმნა საპატიო დიპლომით და დღეს კიდევ ითვლება ოფიციალურად თურქესტანისათვის ამ თესლის მხოლოობით მიმყიდველად ი. ალოიზი

(16—3)

## სომეხთა სასულიერო ნერსესიანის სემინარიის სამზრუნველო საბჭოში

1892 წლის 8 იანვარს, საღამოს 8 საათზედ, ვაჭრობა იქნება (ვაჭრობის განუმეორებლად) 18 ახლად აშენებულ სარდაფიან დუქნის იჯარის გასაცემად. ეს დუქნები სარდაფებითურთ იმყოფება პოლიციის მე-3 ნაწილში, მჭედლების ქუჩაზედ. იჯარის პირობათა შეტყობა შეიძლება სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღეებს გარდა, დილის 10-დგან 12 საათამდე. (3—2)

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონით: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ხასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა, სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილის ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, № 9, სახლი პაპოვისა.

(10—3)

„სარპინიის ნაქსოვთა სამრეწველო ამხანაგობა“ სარატოვში

სეზონი 1892 წლისა—სარპინკა—სეზონი 1892 წლისა

ხელის საფეიქროსი, საკუთრად ამ ამხანაგობის ნაკეთობა პარიჟის უკანასკნელ მოდის ნიმუშების თანახმად.

ახალი—„სარპინკა-რელიეფი“—ნაქსოვი

ისყიდება მთელის ცალობითა და ადლობით, იგზვნება რუსეთის ყოველს ქალაქში. ნიმუშები საუცხოო ალბომით გაეგზავნება ყველას, ვინც 42 კაპ. წარმოადგენს ფოსტის მარკებით; მიწერ-მოწერა რუსულს ენაზედ უნდა იყოს.

ადრესი: *Саратовъ—Товариществу Сарпинокъ.*

(10—9)

დამზღვეველი საზოგადოება „რუსეთი“

უმაღლესად დამტკიცებული 1881 წ.

პეტერბურგი, ბოლშაია მორსკაია, № 38.

—

ძირეული და სათადარიგო თანხა 15.000,000 მან. აქვს.

—

სიცოცხლის დაზღვევა

განსაკუთრებულის სასარგებლო პირობებით და ისე, რომ დამზღვეველი საზოგადოების მოგებაშიაც მონაწილეობას იღებს.

დაზღვევა უბედურითა შემთხვევათაგან.

შეუძლიან დაჰზღვევდნენ, როგორც კერძო კაცნი, ისე ერთად ფაბრიკის მუშანი და მოსამსახურენი.

## ცეცხლისაგან დაზღვევა

ყოველგვარის უძრავისა და მოძრავის ქონებისა.

## გაგზავნილ საქონლის დაზღვევა

მდინარესა, ხმელეთსა და ზღვაზედ გატანის დროს უბედურებისაგან.

დაზღვევის მსურველნი განცხადებას იღებენ ტფილისში, სავაჭრო სახლში ძმ. გოლდლიუსტებისა (ერევნის მოედანი, ზუბალოვის სახლი) და საზოგადოების საააგენტოებში რუსეთის სხვა ქალაქებში. ყოველივე პირობანი დაზღვევისა იგზავნება პეტერბურგს, საზოგადოების სამმართველოში.

მოგზაურთ რკინის გზითა და ხომალდებით მოგზაურობის დროს უბედურებისაგან დაზღვევის ბილეთების აღება შეუძლიანთ აგრეთვე რკინის გზის სადგურებზედ, ნავთსადგურებში და რუსეთის უმთავრესს სასტუმროებში.

სიცოცხლის და უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის წიგნაკები მსურველს მუქთად ეგზავნება. (4—3)


Довв. ценз. Тифлисъ, 21-го Декабря 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.